



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო  
პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური  
„საკვები პროდუქტების გადამუშავება და სამაცივრე ტექნოლოგია“, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება  
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
02 ნოემბერი 2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი  
16 დეკემბერი 2022 წ.

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	<u>96</u>
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	<u>96</u>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	<u>1710</u>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	<u>2514</u>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	<u>2816</u>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	<u>3722</u>

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ სანიკიძე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი / გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა კველიშვილი, სსიპ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ გორგოძე, შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Processing of food products and Refrigeration Technology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში Bachelor of engineering in food technology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სურსათის გადამამუშავება 0721
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული 2021 წლის 7 ივლისი MES 1 21 0000690260
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე 2021 წლამდე ხორციელდებოდა რამოდენიმე პროგრამა მრეწველობის დარგში: "კვების საწარმოთა პროცესები და აპარატები" და „სამაცივრო მოწყობილობები და ტექნოლოგიები“. როგორც უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და ირკვევა, უსდ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოზე, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის #426 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამა „კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები“, ხოლო სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების პროგრამაში, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის #426 გადაწყვეტილებით, მოდულის სახით დაემატა „სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგია“. 2020 წელს უსდ-მ რეაკრედიტაციაზე წარადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გარკვეული ცვლილებებით. 2021 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით (#690260) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1,6 თვით შესაბამისი განსაზღვრული რეკომენდაციებით.

პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. თავად სავალდებულო კომპონენტები შედგება ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. ძირითადი სასწავლო კურსებით სტუდენტი გადის ზოგად ტექნიკურ, მიკრობიოლოგიურ საგნებს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა 4 სემესტრის მანძილზე შეისწავლოს უცხო ენა გაძლიერებულად. პროგრამის ფარგლებში სავალდებულოა საწარმოო პრაქტიკის გავლა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია“ შედგენილია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს). პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 წელი (რვა სემესტრი) პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესორი, 16 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ პროფესორი. სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 39.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების და განვითარების კუთხით. საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად პასუხობს უნივერსიტეტის მისიას და ხარისხის შიდა სტანდარტებს.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 13 24 973 19/10/2022 ბრძანების საფუძველზე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2022 წლის 5 აგვისტოს №876920 წერილით წარმოდგენილი "საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 4 წევრისგან: თამარ სანიკიძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (თავმჯდომარე); მანანა კველიშვილი - პროფესორი (წევრი); თინათინ გაბრიჩიძე - წევრი; მარიამ გორგოძე - წევრი. ექსპერტთა ჯგუფს ახლდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი ანა ლელაძე. ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ში ვიზიტი განახორციელა 2022 წლის 2 ნოემბერს. ამავე დღეს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილობრივი დათვალიერება, კერძოდ აუდიტორიები,

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ლაბორატორიული აღჭურვილობები. პროგრამის ტექნიკური ბაზით სრულად უზრუნველყოფის დადგენის მიზნით განხორციელდა სატელეფონო გასაუბრება აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანთან. პროგრამის შეფასების დროს განხორციელდა ინტერვიუების პროცესი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან პლატფორმა ZOOM -ის გამოყენებით. ხოლო შემდგომი ინტერვიუები განხორციელდა უშუალოდ მიზნობრივ ჯგუფებთან პირდაპირი გასაუბრებებით: თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დამატებითი დოკუმენტაციის ნუსხის გაზიარების მოთხოვნა:

- პრაქტიკის დღიურის და ანგარიშის შევსებული ნიმუში;
- ლექციებზე ურთიერთდასწრების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულების ნიმუში;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში)- გამოგზავნილი დოკუმენტაციის გარდა თუ არსებობს უნივერსიტეტის მიერ გაკეთებული ანალიზის დოკუმენტი;
- ბოლო ორი წლის განმავლობაში პროგრამის განვითარების მიზნით სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია;
- სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგები (პროგრამის);
- პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები და ინფორმაცია გამოყენების შესახებ;
- ქიმის სილაბური (დოკუმენტებში ქიმის ნაცვლად ატვირთული იყო ფიზიკის სილაბუსი)

უსდ-ს წარმომადგენლის მხრიდან აკრედიტაციის ვიზიტის დროს მოხდა აღნიშნული დამატებითი დოკუმენტაციის ელ. ვერსიების გაზიარება.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია . პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამასთან და შესაბამისად ასახავს პროგრამის განხორციელებით მიღწეულ შედეგებს.

სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, და კურიკულუმი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის და გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია. პროგრამა სრულად უზრუნველყოფს სტუდენტზე მორგებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სტუდენტების ეფექტურ კონსულტირებას.

სტანდარტი 4 - მეტწილად შესაბამისობასია. პროგრამის ფინანსური გათვლები ვერ უზრუნველყოფს სრულად პროგრამის მდგრადობას.

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია. სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა ხარისხის სამსახურს და გარე ხარისხის შეფასებებს დამსაქმებლების მხრიდან. პროგრამის მიზანი შესაბამისობასი მოდის დამსაქმებლების მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განისაზღვროს კონკრეტული არაპირდაპირი შეფასების მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდებად განისაზღვროს კონკრეტული დავალება/ნაშრომი/შეფასების კომპონენტი.
2. გამლიერდეს ძალისხმევა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და შეფასების შედეგების პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გამოყენების მიმართულებით.
3. აუციელებელია პროგრამული ბიუჯეტი გადაიხედოს თანხების განაწილების კუთხით, მათ შორის პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, ასევე სტუდენტური აქტივობების განვითარებისთვის საჭირო ფინანსები.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია პროგრამაში წარმოდგენილი მიზანი ჩაიშალოს რამდენიმე მიზნად (3-4), რაც უფრო გააადვილებს პროგრამის მიზნის უკეთ გააზრებას და ასევე შედეგების რუკის წაკითხვას.
2. სასურველია რამდენიმე შედეგის გაერთიანება-გამსხვილება, რაც გააადვილებს შედეგების რუკის წაკითხვას.
3. სასურველია გადაიხედოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რათა სასწავლო კურსის პედაგოგებს მიეცეთ მეტი თავისუფლება და სილაბუსებში გაიწეროს წარმოდგენილი ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების შეფასება.
4. სასურველია, პრაქტიკის დღიური მოიცავდეს სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს უფრო დეტალურ აღწერას.
5. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებსა და აკადემიური გაფორმების სტილთან შესაბამისობაზე ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით.
6. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.
7. სასურველია უსდ-მ და ფაკულტეტმა შექმნან ეფექტური მექანიზმი სტუდენტების უსდ-ს სხვადასხვა კორპუსებში ლაბორატორიულ სივრცეებში ეფექტური მუშაობისთვის, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისთვის მდგრადი პრაქტიკული/ლაბორატორიული სასწავლო გარემოს შექმნას.
8. სასურველია, რომ შემდგომში უსდ-ს მიერ იყოს მხარდაჭერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეტაპობრივი განახლების ინიცირება და ბიუჯეტში მიზნობრივად გაწერა.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს უსდ-ს მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის “საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია” მიზანია: მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი, ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში, რომელსაც ეცოდინება საკვები პროდუქტების და სასმელების გადამამუშავების და შეფუთვის ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა ხარისხის და უვნებლობის ნორმების დაცვით, თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებში ცივად შენახვის და დისტრიბუციისას გამოყენებული ტექნოლოგიის შერჩევა, დაპროექტება და ექსპლუატაცია. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის გათვალისწინებულია ადგილობრივ ბაზარზე ამ პროფესიის კადრების საჭირო უნარები, დამსაქმებლების მოთხოვნები, შრომის ბაზრის ტენდენციები. პროგრამაში წარმოდგენილია ერთი მიზანი, რომელიც ზოგადად მოიცავს ყველა იმ მიზანს რის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა. სასურველია პროგრამაში წარმოდგენილი მიზანი ჩაიშალოს რამდენიმე მიზნად (3-4), რაც უფრო გააადვილებს შედეგების რუკის წაკითხვას. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების ერთობლიობით მიიღწევა ინჟინერიის ბაკალავრის სასურსათო ტექნოლოგიაში კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია
- საბაკალავრო პროგრამა “საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია”
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუ-ს ვებგვერდი - [www.gtu.ge](http://www.gtu.ge);
- ინტერვიუს შედეგები.

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია პროგრამაში წარმოდგენილი მიზანი ჩაიშალოს რამდენიმე მიზნად (3-4), რაც უფრო გააადვილებს პროგრამის მიზნის უკეთ გააზრებას და ასევე შედეგების რუკის წაკითხვას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის „საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრი ტექნოლოგია“ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №695 ბრძანებით განსაზღვრულ (ბაკალავრიატის საფეხურის) მეექვსე დონის აღმწერთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს.

პროგრამაში წარმოდგენილია ათი შედეგი, რომელიც აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. იმისათვის, რომ პროგრამა უფრო მოქნილი იყოს სასურველია რამდენიმე შედეგის გაერთიანება-გამსხვილება, რაც ასევე გააადვილებს შედეგების რუკის წაკითხვას.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი. პროგრამაში წარმოდგენილია შედეგების რუკები და ასევე სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით, რომელიც ნათლად აჩვენებს, რამდენად რეალისტურია პროგრამა.

პროგრამის შედეგები შეესაბამება სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამა და მიღებული შედეგებიც რამდენად ეფექტურია, განსაკუთრებით დამსაქმებლებისათვის. უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამის შედეგებზე გასვლის შესახებ კონტროლს ახორციელებს რექტორის ბრძანებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე,

ფაკულტეტზე შექმნილი კომისია. კომისიის თავმჯდომარეა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში აქტიურადაა ჩართული პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის შემუშავების ჯგუფი, დამსაქმებელი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და აგრეთვე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მუდმივად ხდება კონტროლი რამდენი კურსდამთავრებული დასაქმდა კვალიფიკაციის შესაბამისად და რა პრობლემა გამოიკვეთა მუშაობის პროცესში.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი შეფასების დროს მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს, ხოლო არაპირდაპირი შეფასების დროს ხდება სტუდენტის მიერ თვითშეფასება, და დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება. ასევე შემუშავებულია პროგრამის შეფასების რუკები და გაწერილია სამიზნე ნიშნულები.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლის ჩართულობით გაიზარდა პრაქტიკის ხანგრძლივობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საკვები პროდუქტების წარმოება გადამამუშავება და სამაცივრო მოწყობილობები“
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დანართი 1,2
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (შედეგების რუკები)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები
- დეპარტამენტის სხდომის ოქმები
- პოტენციური დამსაქმებლების, მიერ პროგრამის შეფასების შესახებ გამოხმაურებები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია რამდენიმე შედეგის გაერთიანება-გამსხვილება, რაც გააადვილებს შედეგების რუკის წაკითხვას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ეყრდნობა და შესაბამისობაშია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სარეკომენდაციო მეთოდოლოგიასთან (აკრედიტაციის სახელმძღვანელო).

აღნიშნულ შიდა რეგულაციებსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, საბაკალვრო პროგრამისთვის „საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია“ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელზეც აღნიშნულია, თუ რომელი სასწავლო კურსების მეშვეობით, რა დონეზე ხდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. თითოეული სწავლის შედეგი სამ დონეზე ღრმავდება. სწავლის შედეგების შეფასება ხდება განსაზღვრული პერიოდულობით - როდესაც სტუდენტი ასრულებს იმ სასწავლო კურსის გავლას, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევას. შეფასების პერიოდულობა შეესაბამება დარგის სპეციფიკას.

ვინაიდან აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს თან არ ჰქონდა დართული სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტული გეგმა და სამიზნე ნიშნულები, ის დამატებით იქნა გამოთხოვილი ვიზიტის ფარგლებში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულების, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შესწავლის საფუძველზე, შესაძლებელია რამდენიმე რეკომენდაციის გაცემა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმისა და მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით:

1. სამიზნე ნიშნულები არ არის განსაზღვრული შეფასების არაპირდაპირი მეთოდებისთვის, ასევე, არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელი არაპირდაპირი შეფასების მეთოდი იქნება გამოყენებული კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასებისთვის. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არ ითვალისწინებს არაპირდაპირი შეფასების მეთოდებისა და მათი შეფასებისთვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით. აქვე აღვნიშნავთ, რომ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით, პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვას სპეციალური კითხვარების მეშვეობით. თუმცა, როგორც აღინიშნა, წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით არ არის განსაზღვრული კონკრეტული შეფასების მეთოდი თუ მისი სამიზნე ნიშნული.

2. პროგრამის სწავლის შედეგებისთვის არ არის განსაზღვრული კონკრეტული პირდაპირი შეფასების მეთოდები და გამოიყენება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება. შეფასების აღნიშნული მიდგომა არ არის შესაბამისობაში უნივერსიტეტის „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“-ში წარმოდგენილ მეთოდოლოგიასთან (გვ. 5 – „აქვე აღვანიშნავთ, რომ სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და

ცოდნასაც, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს“).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული მეთოდოლოგიით სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არ მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერას და მათ მონაწილეობას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებაში, ინტერვიუებზე დაყრდნობით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პერსონალს აქვს შესაბამისი მხარდაჭერა - მ.შ. ტრენინგები, საინფორმაციო მუხედრები სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის და რომ ისინი ჩართულნი იყვნენ პროცესში.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარებისთვის ჯერ არ განხორციელებულა. აღნიშნული გამოწვეულია ობიექტური მიზეზით - პროგრამა პირობითი აკრედიტაციის მიღების შემდეგ მოდიფიცირებას განიცდიდა, ხოლო განახლებული პროგრამისთვის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა სტუდენტებს არ დაუსრულებიათ. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრულ დროს.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
- ინტერვიუს შედეგები.

### **რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განისაზღვროს კონკრეტული არაპირდაპირი შეფასების მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდებად განისაზღვროს კონკრეტული დავალება/ნაშრომი/შეფასების კომპონენტი.

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს), კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონეს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა დაადასტურა საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალობა და ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების საჭიროება შრომის ბაზარზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან, ასევე თავისუფალი კომპონენტებისგან. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მისი კომპონენტები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს საშუალებას გაიღრმავოს ცოდნა და გამოიმუშავოს უნარები საკუთარი ინტერესების შესაბამისად და მოიცავს 15 ECTS კრედიტს. თავისუფალი კომპონენტები არ არის დაკავშირებული სპეციალობასთან და მოიცავს ასევე 15 ECTS კრედიტს. სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა 199 კრედიტია. პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამოიმუშავებისთვის პროგრამაში წარმოდგენილი საბაკალავრო პრაქტიკა 5 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის დასრულების შემდეგ (არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების შემდეგ) კურსდამთავრებულს ენიჭება ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სასურსათო

ტექნოლოგიაში. პროგრამის შინაარსი, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პირობითი აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდა ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური პროცესების შესწავლა, ასევე ინჟინერ-მექანიკოსის კომპეტენციის გამომუშავებისთვის საჭირო სხვა სასწავლო კურსები. საერთო ჯამში, მოდიფიცირდა 11 სილაბუსი (მ.შ. დაემატა 5 ახალი სასწავლო კურსი). პროგრამის სტრუქტურის შესწავლის საფუძველზე ცხადია, რომ პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკურია, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაღრმავებას. სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში) ლოგიკურია და ადეკვატური. სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო მასალა ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებს.

როგორც უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავება და განახლება თანამშრომლობითი პროცესი იყო. პროგრამის განახლებაში აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგებით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროგრამის განვითარებაში ხორციელდება მათი გამოკითხვის, ან/და უშუალო კომუნიკაციისა და სხვადასხვა სამუშაო ჯგუფში მათში ჩართულობის გზით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას, მისი ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში.

#### **რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისგან და თავისუფალი კომპონენტებისგან. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით.

სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა შესაბამისი კრედიტებით, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კრედიტები გამოყოფილია სასწავლო მასალის შინაარსის მიხედვით, რომელიც შეესაბამება სასწავლო კურსის შედეგებს.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება ამ სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; მაგალითად: სასწავლო კურსებში, რომელიც ძირითადად დატვირთულია ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით გაზრდილია საკონტაქტო საათები აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისათვის.

სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილია თანამედროვე ლიტერატურა, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა ეს ლიტერატურა ხელმისაწვდომია თითოეული სტუდენტისათვის.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს და სასწავლო კურსის სპეციფიკას.

სილაბუსებში წარმოდგენილია ახალი თანამედროვე კვლევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალა, რომელიც შეესაბამება წარმოდგენილ სფეროს. ლიტერატურა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია“



- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის დანართი 1,2 - პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა <http://opac.gtu.ge/>
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი

ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბაკალავრიატის აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩარიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ხოლო ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია პროგრამა. ასევე უსდ-ს გათვალისწინებული აქვს გარე მობილობის წესით პროგრამაზე ჩარიცხვის მექანიზმიც. ასევე შესაძლებელია შიდა მობილობის წესით პროგრამაზე ჩარიცხვა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის # 133/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება - <https://gtu.ge/AboutStu/regulation.php>
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“;
- [https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/st\\_kion\\_mob\\_inst\\_91019\\_SD.pdf](https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/st_kion_mob_inst_91019_SD.pdf);
- > ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია“;
- > საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>;
- > სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Stmm/>.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია“ წარმოდგენილი საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები შესაბამისი დარგის ორგანიზაციებთან, ამასთან, თანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე შემუშავებული კონკრეტული ხელშეკრულებები განსაზღვრავს სტუდენტთა რაოდენობას, რომელთა მიღებაც შეუძლია კონკრეტულ დამსაქმებელს პრაქტიკის განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ხანგრძლივობასა და დროს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუების შედეგად დადასტურდა დამსაქმებელთა მჭიდრო თანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ამასთან, დამსაქმებელთა ინტერესი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიმართ და პროგრამის კურსდამთავრებულების საჭიროება დასაქმების ბაზრისთვის.

დამსაქმებელთა რაოდენობა და პრაქტიკის ობიექტებზე არსებული ადგილები ადეკვატურია პროგრამის სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით. სტუდენტები პრაქტიკას გადიან პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის შესატყვის ორგანიზაციებში (უზრუნველყოფილია ასევე პრაქტიკის ობიექტების მრავალფეროვნება, მაგ. პურ-ფუნთუშეულის საწარმო „იფქლი“, ხორცპროდუქტების საწარმო „ლიდერფუდი“ და სხვ.), პრაქტიკის ფარგლებში შესრულებული სამუშაო ეხმარება მათ მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს. ასევე დამკვიდრებული პრაქტიკაა, პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმება პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პროგრამასა და შრომის ბაზარს შორის არსებულ კავშირს.

პროგრამის წინა აკრედიტაციის დროს, პრაქტიკის სილაბუსთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები ასახულია განახლებულ სილაბუსში. პრაქტიკის სილაბუსი ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართვას ტექნოლოგიურ პროცესებში, ასევე, პროდუქციის ხარისხის მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური კონტროლის მექანიზმების გაცნობას და მასში მონაწილეობის მიღებას. საანგარიშო პერიოდში ცვლილება განიცადა საბაკალავრო პრაქტიკის სწავლის შედეგებმაც.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი კარგად არის ორგანიზებული. სტუდენტს პრაქტიკის ობიექტზე გამოეყოფა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მენტორი. სტუდენტს ასევე ჰყავს პრაქტიკის ხელმძღვანელი სტუ-დან. სტუდენტი, პრაქტიკის ფარგლებში, მუშაობს პრაქტიკის დღიურზე, დასკვნითი შეფასების ფორმად კი განსაზღვრულია პრაქტიკის ანგარიშის დაცვა. პრაქტიკის დღიურისა და პრაქტიკის ანგარიშის ფორმა, მათი მომზადების შესახებ ინფორმაცია და სტუდენტისთვის საჭირო მონაცემები მოცემულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესში“.

პრაქტიკული უნარების განვითარება უზრუნველყოფილია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში, პრაქტიკული დავალებების შესრულების, ლაბორატორიებსა და დანადგარებზე მუშაობის გზით.

სტუ-ს სტუდენტებს, ასევე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა ყოველწლიურ კონფერენციაში და გაიღრმავონ კვლევითი უნარები. წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებს, ასევე, შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება - საბაკალავრო ნაშრომი წარმოდგენილია პროგრამის სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გამოიმუშაონ პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული უნარები, ასევე უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი კვლევითი უნარები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მემორანდუმები და ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან/პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის სილაბუსი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პრაქტიკის შევსებული ანგარიშებისა და დღიურების ნიმუშები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; „საკვები პროდუქტების გადამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკა, კონსულტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა, საკურსო სამუშაო/პროექტი. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ჯგუფური (collaborative) მუშაობა შემთხვევების შესწავლა (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming) როლური და სიტუაციური თამაშები; დემონსტრირება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; სინთეზი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი; წერიტი მუშაობა; ახსნა-განმარტებითი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, მაგალითად ძირითად სასწავლო კურსებში წარმოდგენილ ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გაზრდილია სტუდენტთა ჩართულობა. ჩართულობა იზრდება აგრეთვე პრაქტიკის მიმდინარეობის დროს.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების დროს ელექტრონული სწავლება აქტიურად მიმდინარეობდა და მას არ მოუხდენია შედეგის ცვლილება. უსდ-ში შექმნილია სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. აღნიშნული დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილია აგრეთვე პედაგოგთა ინფორმირებულობა მათი საჭიროებების გათვალისწინებით. უცხოელ სტუდენტებთან ურთიერთობა განსაზღვრულია კანონის შესაბამისად, თუმცა წარმოდგენილი პროგრამა ქართულ ენოვანია და ამ პროგრამაზე უცხოელი სტუდენტები არ სწავლობენ.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საკვები პროდუქტების გადამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია“;
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები [https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aktivobebi%20\(1\).pdf](https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aktivobebi%20(1).pdf).
- ინტერვიუს შედეგები.

### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ის საკვები პროდუქტების გადამამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი პროცედურების მიხედვით.

სასწავლო კომპონენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რაც ასახულია როგორც საბაკალავრო პროგრამაში, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსებში -

(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;

(C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;

(D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;

(E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების მიხედვით. სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. საერთო (100) ქულიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნით გამოცდას - არანაკლებ 40 ქულა. სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახულია შეფასების კომპონენტები, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ მათთვის ხელმისაწვდომია სილაბუსები და იცნობენ შეფასების არსებულ სისტემას. ამდენად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

სტუ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა გაწერილია სტუ-ის „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“. სტუდენტებთან ინტერვიუს საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ინფორმირებული არიან შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. მიუხედავად ამისა, ინტერვიუს ფარგლებში ვერ დადგინდა რამდენად ეფექტურად ხორციელდება გასაჩივრების არსებული მექანიზმი პრაქტიკაში, რამდენადაც, როგორც პროცესში ჩართულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, ამ ეტაპისთვის არცერთ მთგანს არ გამოუყენებია შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა. ამასთან, ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან სტუდენტები იღებენ უკუკავშირის სწავლის შედეგების მიღწევისა და საკუთარი ძლიერი თუ გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესი“, რომელიც ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს. ზემოხსენებული დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე. ინტერვიუს შედეგებისა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო ნაშრომი არ მოწმდება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებთან შესაბამისობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილია ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება საბაკალავრო პროგრამის ფარგლებშიც, განსაკუთრებით, საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ეტაპზე, რამდენადაც მსგავსი მიდგომა ხელს შეუწყობს პლაგიატის პრევენციასა და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფას დაწესებულებაში.

სასწავლო კურსებში თანმიმდევრობით, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილია ლაბორატორიული სამუშაოები, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში გაწერილი არ არის პედაგოგის მიერ ლაბორატორიული სამუშაოს შეფასება, ზოგიერთ სილაბუსში ასევე არ არის გაწერილი პრაქტიკული სამუშაოს შეფასება. თუმცა ყველა სილაბუსი მოიცავს შეფასებას „დისკუსია-დებატები“. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას აქვს შემუშავებული სილაბუსის შექმნის ერთიანი ფორმა, რომელსაც ყველა პედაგოგი იყენებს, ამიტომ ვერ მოხვდა ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოს შეფასების შესახებ ჩანაწერი, თუმცა ჩატარებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები ყოველთვის ფასდება. სასურველია გადაიხედოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რათა სასწავლო კურსის პედაგოგებს მიეცეთ მეტი თავისუფლება და სილაბუსებში გაიწეროს წარმოდგენილი ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების შეფასება.

როგორც აღინიშნა სტანდარტის კომპონენტ 2.2 - ის აღწერისა და შეფასების ნაწილში, პრაქტიკის დღიურისა და პრაქტიკის ანგარიშის ფორმა, მათი მომზადების შესახებ ინფორმაცია და სტუდენტისთვის საჭირო მონაცემები მოცემულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესში“. პრაქტიკის შეფასების კომპონენტები გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია პრაქტიკის კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების მიზნებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შევსებული პრაქტიკის დღიურისა და ანგარიშის ნიმუშებს. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკის ანგარიში მოიცავს შესაბამის ინფორმაციას სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობების და შესრულებული სამუშაოს შესახებ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია, პრაქტიკის დღიური მოიცავდეს უფრო სრულყოფილ ინფორმაციას სტუდენტთა მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ.

აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდები. აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას. კერძოდ, სტუ-ში ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს უტარდება ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სტუ-ის საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;
- „საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესი“;
- პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ტრენინგები;
- სტუ-ს ვებგვერდი - [www.gtu.ge](http://www.gtu.ge);
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებსა და აკადემიური გაფორმების სტილთან შესაბამისობაზე ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით.
- სასურველია გადაიხედოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რათა სასწავლო კურსის პედაგოგებს მიეცეთ მეტი თავისუფლება და სილაბუსებში გაიწეროს წარმოდგენილი ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების შეფასება .
- სასურველია, პრაქტიკის დღიური მოიცავდეს სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს უფრო დეტალურ აღწერას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**



2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ სტუ-ის საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამას აქვს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციის გაწევისა და კარიერული განვითარების მხარდამჭერისათვის აუცილებელი მექანიზმები.

სტუდენტები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიმდინარეობაზე, შეფასების შედეგებზე, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებსა და აქტივობებზე. ელექტრონული პორტალი სტუდენტებს ასევე ეხმარება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან კომუნიკაციის დამყარებაში.

ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი იღებენ სათანადო და დროულ კონსულტაციას დაწესებულების პერსონალისგან. აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილი საათები. საკონსულტაციო განრიგი ხელმისაწვდომია როგორც უსდ-ში მატერიალური სახით, ასევე სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზეც. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან კონსულტაცია შეუფერხებლად ხორციელდებოდა ელექტრონული სწავლების პერიოდშიც, უმეტესწილად ისეთი ელ. კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, როგორებიცაა: Zoom-ის პლატფორმა, ელ.ფოსტა და სხვ.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები ჩართული იყვნენ პროგრამის მოდიფიცირებისა და თვითშეფასების პროცესებში. ზოგადად პროგრამის შემუშავებაში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა განსაზღვრულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261 დადგენილებით მიღებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესში“. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა მათგან მიღებული რეკომენდაციები, კერძოდ, გაძლიერდა ინგლისური ენის სწავლება (ინგლისური ენის კომპონენტისათვის გამოყოფილი 6 კრედიტი გაიზარდა 20-მდე), ასევე გაუმჯობესდა პრაქტიკის

კომპონენტი. გარდა ამისა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით, დაწესებულება ატარებს გამოკითხვებს. როგორც ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, გამოკითხვები სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს ელ.ფოსტის საშუალებით მიეწოდებათ.

დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციებისა და პროექტების, ასევე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ. სტუ-ში ტარდება ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია. მიუხედავად ამისა, სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართული კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში. ინტერნაციონალიზაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სტუ ასევე ახორციელებს გაცვლით პროგრამებს Erasmus+ -ის ფარგლებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. იმართება დასაქმების ფორუმები, რომლებშიც მონაწილეობენ სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლები. სტუდენტთა სამომავლო დასაქმებას ასევე ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ ყოველკვირეული ვიზიტები დარგის შესაბამის ორგანიზაციაში, სადაც ეძლევათ შესაძლებლობა, თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში და მეტად განავითარონ პრაქტიკული უნარები. ამასთან, ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესში აქტიურად მონაწილეობს უშუალოდ აკადემიური/მოწვეული პერსონალიც, რაც უზრუნველყოფს მეტ კარიერულ შესაძლებლობას სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორუმები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის დოკუმენტი;
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“;
- სტუ-ს ვებგვერდი - [www.gtu.ge](http://www.gtu.ge);
- ინტერვიუს შედეგები.

#### **რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი შერჩეულია შესაბამისი ცოდნის, გამოცდილების და კვალიფიკაციის მიხედვით. მათ აქვთ მუშაობის დიდი გამოცდილება, აქტიურად მონაწილეობენ შესაბამისი მიმართულების დარგის განვითარებაში. აქვთ სათანადო კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამას ემსახურება კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც ახდენს პროგრამაზე არსებული სტუდენტების სრულფასოვან მომსახურებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი <sup>6</sup>	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი <sup>7</sup>	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	48	39	39	39
- პროფესორი	20	15	15	15
- ასოცირებული პროფესორი	16	12	12	12
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	6	6	3	–
სამეცნიერო პერსონალი	4	4	4	–

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან; უსდ-ს გააჩნია აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის ჩასატარებელი კონკურსის დებულება, სადაც გაწერილია ის კრიტერიუმები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს დოქტორმა თანამდებობის დასაკავებლად. პროგრამის დანართებში წარმოდგენილია თითოეული პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: სამეცნიერო ნაშრომები, კონფერენციები, გამოგონებები და სხვა.

პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებს გამომდინარე მათი სტატუსის მიხედვით.

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები; საკონსულტაციო საათები მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, სწავლის პერიოდში გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსის პედაგოგი სტუდენტებს კონსულტაციას უწევს აგრეთვე არა საკონსულტაციო საათებშიც.

<sup>6</sup> ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

<sup>7</sup> ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის 39/9 წარმოდგენილი ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია რაც თავის მხრივ მყარი გარანტია პროგრამის მდგრადობის.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება მისი სამეცნიერო-პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობით. არის 22 ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების თანაავტორი, 90 სტატიის ავტორი, მონაწილეობა აქვს მიღებული 18 საერთაშორისო კონფერენციაში, არის 5 გამოგონებისა და 2 საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს ამტკიცებს აკადემიური საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში, პროგრამის განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში, ხელმძღვანელობს პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირების საქმიანობას. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა მისი აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და მის განვითარებაში, ასევე გამოიხატა მისი აქტიური კომუნიკაცია თითოეულ სტუდენტთან და კურსდამთავრებულებთან.

უსდ-ს აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, სემესტრის დაწყებამდე დეპარტამენტის მიერ ხდება პედაგოგთა ინდივიდუალური დატვირთვების სქემის შემუშავება, სადაც გაწერილია მათი კვირული დატვირთვები. პედაგოგთა მოწვევას ახორციელებს ადმინისტრაციის სამსახური მისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. პერსონალთა რაოდენობა სრულად ადეკვატურია სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა დამხმარე პერსონალის აქტიური კომუნიკაცია სტუდენტებთან, სწორი და დროული ინფორმაციის მიწოდება და სხვა.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, მოწვეული პერსონალის CV, დიპლომები და შრომების სია;
- აკადემიური, მოწვეული პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიური პერსონალის ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია;
- პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- > სტუ-ის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულება <https://gtu.ge/Stmm>
- ინტერვიუს შედეგები

### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია**

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დამტკიცებულია შესაბამისი რეგულაციები, ასევე უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადებას სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად: სწავლის შედეგები და მათი შეფასება სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები და სხვ.

როგორც უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს სახელფასო დანამატის გაცემის წესი, რომლის მიზანიც არის პერსონალის განვითარების მოტივაცია. სახელფასო დანამატი პერსონალზე გაცივმა გასული კალენდარული წლის შედეგების გათვალისწინებით. პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები მოიცავს მათ აქტივობებს აკადემიურ საქმიანობაში, მეცნიერების ხაზით და უნივერსიტეტისთვის სხვა მნიშვნელოვან საქმიანობაში ჩართულობა. აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებულ სასწავლო-მეთოდური მუშაობის შესახებ მზადდება დასკვნა, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოების მიერ.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ვიზიტის ფარგლებში, ასევე დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ვერ მოხდა პერსონალის საქმიანობის შეფასების კონკრეტული



შედეგებისა და ამ შედეგების პერსონალის პროფესიულ განვითარებაში გამოყენების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. მართალია, უნივერსიტეტში შემუშავებული და დამტკიცებულია პერსონალის საქმიანობის შეფასებისთვის შესაბამისი რეგულაციები, ასევე განსაზღვრულია შეფასების შედეგების გამოყენების არეალი, არ დასტურდება მათი ეფექტიანი გამოყენება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიმართ. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა, დამატებით გამოითხოვა პერსონალის საქმიანობის შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია საკმაოდ ზოგადია და არ იძლევა შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

ამასთან, ლექციაზე ურთიერთდასწრება ხორციელდება შერეულად, ფაკულტეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, ხოლო შეფასების საგანია მხოლოდ ლექციის ჩატარება სასწავლო ცხრილის მიხედვით და ლექციის შინაარსის სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკასთან შესაბამისობა. დასკვნა კი მზადდება შეფასების პერიოდისთვის განსაზღვრული ფაკულტეტის ყველა სასწავლო კურსისთვის ერთობლივად.

პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენების კონკრეტული მაგალითების მოყვანა ვერ მოხერხდა ასევე ინტერვიუების მსვლელობისას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ბიუჯეტში არ არის გამოყოფილი თანხა პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებებისთვის. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განმარტებით, ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლი, მათ შორის პერსონალის პროფესიული განვითარება წარმოადგენს უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ნაწილს და პერსონალის განვითარების ღონისძიებების დაფინანსებას ითვალისწინებს უნივერსიტეტის ბიუჯეტი. ამასთან, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი დაფინანსება და სხვადასხვა საგრანტო პროექტი.

თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის, ინტერვიუს შედეგებისა და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ გააძლიეროს ძალისხმევა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების პერსონალის განვითარების მიზნით გამოყენების მიმართულებით.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის საფაკულტეტო კომისიის ოქმი N9;
- „პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში“;
- აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი;
- პერსონალის განვითარების აქტივობები;
- ინტერვიუს შედეგები.

### **რეკომენდაციები:**

გაძლიერდეს ძალისხმევა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და შეფასების შედეგების პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გამოყენების მიმართულებით.

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში ვიზიტისას პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის გაცნობა მოხდა ჰიბრიდული წესით. ვინაიდან დათვალიერება ითვალისწინებდა უსდ-ს 3 სხვადასხვა კორპუსის ბიბლიოთეკის და ლაბორატორიების დათვალიერება/გაცნობას, რაც დროში მხოლოდ 1.5 საათს ითვალისწინებდა, გადაწყდა და ადგილზე დათვალიერდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ექსპერტთა ჯგუფმა მონახულა სასწავლო ინვენტარი, აუდიტორიები, პრაქტიკული სამუშაოებისათვის განკუთვნილი ოთახები - სამაცივრო დანადგარების პრაქტიკული მეცადინეობებისათვის აღჭურვილი ოთახები. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ბიოქიმიური და ქიმიური ლაბორატორიებისთვის გამოყენებული იქნება ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულზე დაყრდნობით შედგა სატელეფონო გასაუბრება აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანთან, რომელმაც დაადასტურა, რომ ფაკულტეტი სრულად უზრუნველყოფს დროს, ლაბორატორიულ აღჭურვილობებს და საჭირო რეაქტივებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის. გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკურად არაეფექტურია უსდ-ს ორ სხვადასხვა ფაკულტეტზე ქონდეს ერთი და იგივე ლაბორატორიები, თუმცა სტუდენტებისთვის მდგრადი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, სასურველია თუ ეფექტურად იქნება შედგენილი ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების გრაფიკი.

სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა მათ მიერ უსდ-ს ბიბლიოთეკის ეფექტური გამოყენება, სადაც დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA", რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის მოძიება. სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული ბაზები (Scopus). უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელ. კატალოგი და ლიტერატურის ელ სამიებო სისტემა.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა <https://gtu.ge/Library/> ;
- საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" - <http://opac.gtu.ge/>;
- მონაცემთა ბაზები <https://gtu.ge/Library/Databases/>;
- სამეცნიერო მონაცემთა ბაზები <https://gtu.ge/Library/Databases/>;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები).
- ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია უსდ-მ და ფაკულტეტმა შექმნან ეფექტური მექანიზმი სტუდენტების უსდ-ს სხვადასხვა კორპუსებში ლაბორატორიულ სივრცეებში ეფექტური მუშაობისთვის, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისთვის მდგრადი პრაქტიკული/ლაბორატორიული სწავლების გარემოს შექმნას.

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რეალური საჭიროება და მოთხოვნა აღნიშნული პროგრამის არსებობის და განხორციელების. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტში პროგრამულად. პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია პროგრამული ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს 180,000 ლარს, რომლის უდიდესი ნაწილი განკუთვნილია შრომის ანაზღაურებისათვის, პროგრამის განვითარებაზე გამოყოფილია 25234 ლარი, რაც წინა ბიუჯეტთან შედარებით (6322 ლარი) მეტია, რაც შესაძლებლობას ქმნის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შემცირების, თუმცა შესაძლებელია ნაწილობრივ ხელისშემშლელი იყოს პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის.. ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებს ლაბორატორიული სამუშაოებისთვის სხვადასხვა კორპუსებში უწევთ გადაადგილება, ლაბორატორიების გაზიარების შემთხვევაში არასაკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს ქიმიური რეაგენტები,

რომელიც ასევე არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტში, თუმცა აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანთან გასაუბერის შედეგად მან დაგვიდასტურა, რომ აღნიშნულ ფაკულტეტს აქვს საკმარისი მარაგები რეაგენტების, იმისთვის, რომ ყველა სტუდენტმა შეძლოს ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება. ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკურად არაეფექტურია უსდ-ს ორ სხვადასხვა ფაკულტეტზე ქონდეს ერთი და იგივე ლაბორატორიები, თუმცა სტუდენტებისთვის მდგრადი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, ასევე პროგრამის შემდგომი მდგრადობის უზრუნველყოფისთვის, რომ პროგრამა ყოველთვის არ იყოს დამოკიდებული სხვა ფაკულტეტის კეთილ ნებაზე, მნიშვნელოვანია და სასურველი, რომ შემდგომში უსდ-ს მიერ იყოს მხარდაჭერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეტაპობრივი განახლების ინიცირება და ბიუჯეტში მიზნობრივად გაწერა. ასევე 80 სტუდენტზე სტუდენტური აქტივობების წახალისებისათვის გაწეული ხარჯი მხოლოდ 823 ლარია, რაც ერთ სტუდენტზე მხოლოდ 10 ლარია.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან
- ბიუჯეტი
- თვითშეფასების ანგარიში

### რეკომენდაციები:

აუციელებელია პროგრამული ბიუჯეტი გადაიხედოს თანხების განაწილების კუთხით, მათ შორის პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები, ასევე სტუდენტური აქტივობების განვითარებისთვის საჭირო ფინანსები.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველი, რომ შემდგომში უსდ-ს მიერ იყოს მხარდაჭერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეტაპობრივი განახლების ინიცირება და ბიუჯეტში მიზნობრივად გაწერა.

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი სისტემა და აღწერს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, ეყრდნობა ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რითაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში. სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა (Planning), განხორციელება (Doing), შეფასება (Checking), განვითარება (Acting) (PDCA).

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტების, პერსონალის და დამსაქმებელთა კითხვარები, რომელიც ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინფორმირებას პროგრამის ნაკლოვანებების შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება გამოკითხვის ფორმების განხილვა და მასში გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრისთვის გარკვეული ღონისძიებების დაგეგმვა. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში; პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს;

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

პერსონალის საქმიანობის თავისებურებებისა და საჭიროების მიხედვით პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის უნივერსიტეტი იყენებს აქტუალობის შემდეგ ფორმებს:

- კვალიფიკაციის ამაღლების კურსები
- გაცვლითი პროგრამები
- ტრენინგები
- სემინარები

- სამეცნიერო და თემატური კონფერენციები
- სტაჟირებები
- გამოფენები და სხვა.

უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდული შეფასება. ფასდება როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობა; პერიოდულად ხდება ასევე მათი კმაყოფილების კვლევა, ფაკულტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად აწარმოებს, აანალიზებს და აქტიურად იყენებს შეფასების შედეგებს, რათა ხელი შეუწყოს ფაკულტეტის თითოეულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში და პროფესიულ განვითარებაში.

სტუ-ში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები, სტუ-ს რექტორის ბრძანებით (19.11.2019 №01-09-10/273) „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“, რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის

შეფასება. სტუ-ს აკადემიურ, მოწვეულ პროფესორთა და მასწავლებელთა პერსონალის მიერ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სტუს-სთვის მნიშვნელოვან სხვა საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასება ყოველწლიურად წარმოებს შემდეგი კრიტერიუმებით:

აქტივობები აკადემიურ საქმიანობაში

აქტივობები მეცნიერების ხაზით

სტუ-სთვის მნიშვნელოვანი სხვა საქმიანობები

პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის, ასევე უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელებას. თითოეულ პედაგოგს აქვს მხარდაჭერა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც გამოიხატება სტატიების გამოქვეყნებას, კონფერენციის დაფინანსებასა და სხვა სამეცნიერო აქტივობის მხარდაჭერაში.

ინტერვიუს დროს აგრეთვე გამოიკვეთა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს პედაგოგთა სასწავლო პროცესის დროს ურთიერთდასწრება და შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს პერსონალის საქმიანობას და ახდენს შეფასების შედეგების გამოყენებას პერსონალის პროფესიულ განვითარებაში.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
- დებულება- <http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php>;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის № 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
- ვებგვერდი <http://gtu.ge/quality>;
- კურსდამთავრებულთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

#### ○ რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 ხარისხის შეფასება	შიდა <input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**5.2. გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის განვითარებისთვის და მისი საჭიროების/მნიშვნელოვნების განსაზღვრის მიზნით გამოყენებულია გარე ორგანიზაციების, დამსაქმებლების შეფასებები. წარმოდგენილია გამომხაურებები შემდეგი ორგანიზაციებიდან: საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი, Fakultät Maschinenbau Forschungsinstitut Fahrzeugtechnik Vehicle Research Institute, GEORGIAN INDUSTRIAL ASSET MANAGEMENT GROUP. ს.ს. ყაზბეგი, სარაჯიშვილი, შპს - „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „პანტა“, შპს „ქართუ უნივერსალი“, შპს „სანტე ჯი-ემ- თი პროდუქტები“, საქართველოს მემაცივრეთა ასოციაცია, საექსპერტო დასკვნა საბაკალვრო პროგრამაზე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ყველა გამომხაურებაში ხაზგასმულია აღნიშნული პროგრამის მნიშვნელობა და შრომის ბაზარზე ამ კვალიფიკაციის მქონე კადრის მაღალი მოთხოვნა და დაბალი მიწოდება საგანმანათლებლო ინსტიტუტებიდან, რამეთუ საქართველოში მხოლოდ აღნიშნული უსდ აწვდის აღნიშნული კვალიფიკაციის კადრებს შრომის ბაზარს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებლები მეტ აქცენტს აკეთებენ ისეთ კადრებზე, რომლებიც მეტად კვალიფიციურია სამაცივრო, ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების ცოდნის მხრივ. ლოგიკურიც არის, ვინაიდან მხოლოდ ეს პროგრამა ამზადებს კადრებს, რომლებიც სრულად ეუფლებიან როგორც საკვები პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიებს, ასევე სამაცივრო ტექნოლოგიებს. ხოლო მარტო სურსათის ტექნოლოგიებს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც ამზადებენ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გამომხაურებები
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება პროგრამის განმახორციელებელი, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

პროგრამის შეფასების მიზნით უახლესი კვლევა განხორციელდა 2022 წელს, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობით. წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგების ანალიზი, თუმცა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, რეკომენდაციების განსაზღვრა და პროგრამის მოდიფიცირება არ მომხდარა. ინტერვიუს შედეგად დასტურდება დამსაქმებელთა, ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობა პროგრამის შეფასებაში.

პროგრამის შეფასების მიზნით, ასევე პერიოდულად (ყოველსემესტრულად) ხორციელდება სტუდენტთა მიერ ცალკეული სასწავლო კურსების და პროფესორ-მასწავლებლების შეფასება. უნივერსიტეტის მიერ დამატებით წარმოდგენილია სემესტრული გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი ჯერ დასრულებული არ არის და წარმოდგენილია ნედლი შედეგები.

როგორც აღინიშნა დასკვნის 4.3 სტანდარტის კომპონენტის აღწერილობით ნაწილში, ასევე პერიოდულად მიმდინარეობს ლექციებზე დასწრება, თუმცა, შეფასების მიზანია სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკასთან შეხვედრის შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის ხარისხის პერიოდული შეფასებისა და მონიტორინგისთვის საჭირო ინსტრუმენტები, ხარისხის შეფასებაში კი მონაწილეობენ შესაბამისი შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები. თუმცა, საანგარიშო პერიოდში შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების



მიზნით გამოყენება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა არ მომხდარა. აღნიშნული გამოწვეულია ფაქტით, რომ პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შემდეგ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფოკუსირებული იყო აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე.

რაც შეეხება პირობითი აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციას, ის შესაძლებელია შეფასდეს, როგორც შესრულებული, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად, საანგარიშო პერიოდში მჭიდროდ ითანამშრომლა საგანმანათლებლო პროგრამის განახლებისა და განვითარების მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების შეფასების შედეგები;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები სრულყოფილად იქნეს გამოყენებული განახლებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია“ ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტები				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა      თამარ სანიკიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



სახელი, გვარი, ხელმოწერა მანანა კველიშვილი

*მ. ხვცი*

სახელი, გვარი, ხელმოწერა თინათინ გაბრიჩიძე

*თ. განიძე*

სახელი, გვარი, ხელმოწერა მარიამ გორგოძე

*მ. გორგოძე*

სახელი, გვარი, ხელმოწერა